23/06/2026

ხელდასხმა ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიაში

ამა წლის 21 ივნისს ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ (შიოლაშვილი) ბათუმის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი დიაკონ აკაკი აფხაზავას, ხოლო დიაკვნად – წიგნის მკითხველ ზურაბ ასამბაძეს, რომელსაც სახელად ზოსიმე უწოდა.

მღვდელი აკაკი იმსახურებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარში, ხოლო დიაკონი ზოსიმე – ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში.

sazu.ge